



8111/4-1/22 2 07092022



8111/4-1/22
07-09-2022

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ოთარ შამუგიას

ასლი: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრს

ბატონო ოთარ,

როგორც თქვენთვის ცნობილია, „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად 2023 წლის პირველ ივნისიდან HACCP-ის სისტემის პრინციპების დაცვის ვალდებულების წრე ფართოვდება და ვრცელდება ყველა სხვა ბიზნესოპერატორზე, რომელსაც აქამდე აღნიშნული ვალდებულება არ გააჩნდა.

საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის პრინციპების დაცვის ვალდებულება ბიზნესოპერატორებისთვის, ერთი მხრივ, განპირობებულია როგორც სურსათის უვნებლობის მყარი სისტემის ხელშეწყობით, ისე ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის აქტებთან დაახლოება ეტაპობრივად ხდებოდა. კერძოდ, HACCP-ის სისტემის პრინციპების დაცვა 2015 წლის 1 იანვრიდან სავალდებულოა ნედლი რძის გადამამუშავებელ საწარმოებსა და სასაკლაოებში; 2018 წლიდან იმ ბიზნესოპერატორებისთვის, რომლებიც ექსპორტისთვის განკუთვნილ გადამამუშავებული თხილის გულს ამზადებენ. 2021 წლიდან ანალოგიური ვალდებულება დაეკისრათ ასევე ბიზნესოპერატორებს, რომლებიც საცალო ვაჭრობის პუნქტში ახორციელებენ სურსათის წარმოებას/გადამამუშავებას და რომლებიც ცხოველური წარმოშობის სურსათის წარმოებას ან/და გადამამუშავებას ახდენენ. უკვე შემდეგი ეტაპი კი ითვალისწინებს ამ ვალდებულების გაჩენას ყველა სხვა ბიზნესოპერატორისთვის.

სწორედ აღნიშნულ საკითხზე, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტს მოგვმართა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა (N3-806) და წარმოგვიდგინა საზოგადოებრივი და ბიზნეს ორგანიზაციების

უარყოფითი მოსაზრება სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს პოზიციაზე, რომლის თანახმადაც ხდება „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის გადავადება 2025 წლის 1 ივნისამდე.

მოგეხსენებათ, HACCP-ი არის საერთაშორისოდ აღიარებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა და მისი დანერგვის გარეშე რთულია ქვეყანაში გამართული სურსათის უვნებლობის სისტემის არსებობა. მეორე მხრივ კი, ვიზიარებთ იმ პოზიციას, რომ აღნიშნული სისტემის დანერგვა ბიზნესოპერატორებისთვის ფინანსურ და ინფრასტრუქტურულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ამ პროცესის წარმართვა მოხდეს მათი საქმიანობის გართულებისა და დაბრკოლებების შექმნის გარეშე, რომ მათ ჰქონდეთ ადეკვატური დრო და შესაბამისი მხარდაჭერა, რათა შეუფერხებლად და სურსათის უვნებლობის თანამედროვე სტანდარტების დაცვით განახორციელონ საქმიანობა.

სწორედ ამიტომ, რადგან სამინისტრო რეფორმის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე ითვალისწინებდა სექტორის გამოწვევებს, მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაშიც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს აღნიშნულ ფაქტს, რომ სურსათის უვნებლობის რეფორმის ეს ფაზაც წარმატებულად დასრულდეს. ამ მიზნით, კომიტეტი აუცილებლად მიიჩნევს, რომ სამინისტრომ და მისმა საქვეუწყებო დაწესებულებებმა, მაქსიმალური მხარდაჭერა გაუწიონ ბიზნესოპერატორებს, რომ მათ შეუფერხებლად დანერგონ თავიანთ საქმიანობაში HACCP სისტემა, მათ შორის საჭიროებისამებრ მოხდეს სამინისტროს და მისი სააგენტოების პროგრამებში აღნიშნული ბიზნესოპერატორების საჭიროებების გათვალისწინება.

დანართი: 6 (ექვსი) ფურცელი.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ნინო წილოსანი

